

ბრძანება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი

№87 §2/1

21.05.2010 წ

2010-2011 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მიღების წესის განსაზღვრის შესახებ

1. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ფორმა

1.1. გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდისა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში, რომლის ჩატარებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის რექტორის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.

1.2. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა ტარდება წერილობით.

1.3. კონკურსანტის საგამოცდო ნამუშევარი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.

2. მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით ან პირადად.

3. საგამოცდო განაცხადი. კონკურსანტთა რეგისტრაცია

3.1. მაგისტრატურაში სწავლების უფლება აქვს სულ მცირე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა და რომლის აკადემიური ხარისხი შეესაბამება არჩეული სამაგისტრო პროგრამის პროფილს. შესაბამისობის საკითხს არკვევს ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისია. უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ფორმალური ცნობა (აღიარება) ხდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

3.2. მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო საკონკურსო გამოცდებზე კონკურსანტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დროულად გაიარა რეგისტრაცია მიმღებ კომისიაში და წარადგინა სათანადო საბუთები.

3.3. მაგისტრატურაში საუნივერსიტეტო მისაღებ გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფუძველია კონკურსანტის წერილობითი განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ.

3.4. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ორი ფერადი ფოტოსურათი – 3X4;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი – მისივე დედნის წარდგენით;

გ)სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი– მისივე დედნის წარდგენით;

დ) საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და მისი დანართის ასლები მათივე დედნების წარდგენით (მიმდინარე

წლის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ ცნობას შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შესახებ ნიშნების ფურცელთან ერთად).

ე) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერტიფიკატი;

ვ) მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდაში მონაწილეობის საფასურის - 25 ლარის გადახდის ქვითარი.

4. მისაღები გამოცდის მიმდინარეობა

4.1. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.

4.2. გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე კონკურსანტები გადიან საგამოცდო რეგისტრაციას, რეგისტრაციის გასავლელად რეგისტრატორებს წარუდგენენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

4.3. კონკურსანტი ვალდებულია:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს გამოცდაზე – საგამოცდო დროის ათვლის დაწყების (რეგისტრაციის დამთავრების) შემდეგ კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) თან იქონიოს პირადობის მოწმობა;

გ) გამოცდის დამთავრების შემდეგ საგამოცდო დავალების ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ უწყისში;

დ) შეასრულოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და კურატორის ცალკეული მითითებანი.

4.4. გამოცდის მსვლელობისას კონკურსანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვა გამოყენება;

გ) საგამოცდო დავალების ფურცელზე ან საგამოცდო ნაშრომზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა კონკურსანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად.

4.5. ნაშრომი, რომლის შესრულებისას გამოყენებული იქნება განსხვავებული ფერის მელანი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას (რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან) არ გასწორდება.

4.6. ჩაბარებული საგამოცდო ნამუშევრების რვეულები იკვრება სექტორების მიხედვით და გადაეცემა სასწავლო რესურსების განვითარების განყოფილებას.

5. კონკურსანტთა ნაშრომების გასწორება

5.1. საგამოცდო ნაშრომები კოდირების შემდეგ რეგისტრირდება და გამსწორებელთა საგნობრივ კომისიებში ნაწილდება სასწავლო რესურსების განვითარების განყოფილების მიერ.

5.2. ნაშრომი, რომელიც შესრულებულია განსხვავებული ფერის ავტოკალმით ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს (სახელი, ნომერი, მისამართი და

სხვა) ან რაიმე სახის გრაფიკულ გამოსახულებას (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან, არ ექვემდებარება გასწორებას და ფასდება ნული ქულით.

6. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგამოცდო საგანში განისაზღვრება 51 ქულით.

7. კონკურსანტთა რანჟირება

თითოეული სამაგისტრო პროგრამის მიხედვით დგება მინიმალური კომპეტენციის ზღვარგადალახულ კონკურსანტთა რანჟირებული სია, რომელშიაც გათვალისწინებულია საერთო სამაგისტრო და საუნივერსიტეტო გამოცდების წილობრივი მაჩვენებლები და კონკურსანტები დალაგებული არიან შეფასებების კლებადობის მიხედვით.

8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

8.1. კონკურსანტები, რომელთა რიგითი ნომრები კონკურსანტთა რანჟირებულ სიებში არ აღემატება შესაბამისი სპეციალობისათვის საკონკურსო ადგილების რაოდენობას, სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე რექტორის ბრძანებით ირიცხებიან უნივერსიტეტში (თუ რომელიმე უფლებამოსილი კონკურსანტი უარს განაცხადებს ჩარიცხვაზე, მაშინ ხელშეკრულების გაფორმების უფლება მიეცეს რანჟირებული სიით განსაზღვრულ შემდეგ კონკურსანტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.2. როგორც წესი, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა იწარმოებს, თუკი ამ პროგრამაზე ჩასარიცხ კონკურსანტთა რაოდენობა არ იქნება 5-ზე ნაკლები.

9. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის პროცედურა

9.1. კონკურსის ჩატარების მიზნით იქმნება საუნივერსიტეტო საკონკურსო კომისია საფაკულტეტო ქვეკომისიებით, რომლებიც შედგება საგნობრივი ჯგუფებისაგან.

9.2. მაგისტრატურაში მიღების მსურველთა რეგისტრაციისა და კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო რესურსების განვითარების განყოფილებას.

რექტორი

პროფესორი გიორგი ონიანი